



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 44

ქ. გარდაბანი

30/03/2022

44-06-4-202203301920



**ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ
სართიჭალაში მცხოვრები მაკა ტაბატაძესთვის დახმარების გაწევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 16 მარტის N18-182207518 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 5291.10 (ხუთი ათას ორას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში მცხოვრები მაკა ტაბატაძესთვის (პ/ნ), (დიაგნოზი:

2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა გასცეს საგარანტიო წერილი და უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ქალაქ თბილისში, ცინცაძის №16-ში მდებარე, შპს „თბილისის მედიცინის ინსტიტუტის“ ანგარიშზე. ს/კ: 405271646

ანგარიშის №

ბანკი: ს.ს „თიბისი ბანკი“, კოდი: MIBGGE22

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

